SOLO | VISA | DRAGONPASS

როგორ ვიპოვო პროგრამაში მონაწილე ლაუნჯები აეროპორტში?
აპლიკაციის Explore ნაწილში, შეგიძლიათ დაათვალიეროთ ხელმისაწვდომი ლაუნჯები სასურველი ქვეყნისა და აეროპორტის შერჩევით. მთავარი გვერდი ასევე შეიცავს ბმულს, რომელიც გადაგიყვანთ ლაუნჯების ჩამონათვალზე.

შეიძლება ლაუნჯში სტუმრებთან ერთად შესვლა? აუცილებელია მათთან ერთად ვმოგზაურობდე?
დიახ, თქვენ შეგიძლიათ ლაუნჯში სტუმრებთან ერთად შესვლა. სტუმრები თქვენი რეისით უნდა მგზავრობდნენ. თუ თქვენთვის ხელმისაწვდომი არ არის უფასო სტუმრის ვიზიტი, შეგიძლიათ მოიწვიოთ სტუმარი/ები და გადაიხადოთ $32 ერთ ადამიანზე ერთი ვიზიტისას. თანხა პირდაპირ ჩამოგეჭრებათ თქვენი დარეგისტრირებული ბარათიდან.

რატომ მითხრეს უარი ლაუნჯში შესვლაზე?
თუ ლაუნჯში თავისუფალი ადგილი აღარ არის, თქვენ ვერ შეძლებთ შესვლას. ამ დროს თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ Visa Airport Companion აპლიკაციით და შეამოწმოთ სხვა ლაუნჯები.

რა შედის ჩემს საწევროში?
თქვენ შეგიძლიათ გადაამოწმოთ How it Works სექცია აპლიკაციის Membership სექციაში და ნახოთ რამდენ უფასო ვიზიტს მოიცავს თქვენი საწევრო. ამის ნახვა შესაძლებელია როგორც მთავარ გვერდზე, ისე Membership სექციაში. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ბენეფიტები შეიძლება განსხვავდებოდეს ბარათის მფლობელების მიხედვით.

როგორ ვნახო ჩემი საწევროს დეტალები რეგისტრაციის შემდეგ? როგორ გავიგო რამდენი ვიზიტის უფლება მაქვს?
საწევროს დეტალების ნახვა შესაძლებელია აპლიკაციის Membership სექციაშია, რომელიც მენიუს ქვედა ნაწილშია მოთავსებული.
ციფრული საწევროს დეტალები (ლაუნჯის ვიზიტები) წარმოდგენილია როგორც მთავარ, ისე Membership სექციებში.

როგორ შევიდე ლაუნჯებში?
წარუდგინეთ თქვენი საწევროს QR კოდი ლაუნჯის თანამშრომელს. თუ ვიზიტები ხელმისაწვდომია, ავტომატურად ჩამოგაკლდებათ ხელმისაწვდომი რაოდენობიდან. თუ არცერთი უფასო ვიზიტი არ არის ხელმისაწვდომი, შესაბამის Visa ბარათზე ჩამოგეჭრებათ $32. საწევროს QR კოდის გახსნა შესაძლებელია აპლიკაციის მთავარ გვერდზე Membership ღილაკის საშუალებით.

შემიძლია ვისარგებლო ფიზიკური ბარათით ლაუნჯში შესასვლელად?
Visa Airport Companion წარმოადგენს სრულიად ციფრულ აპლიკაციას. თქვენ შეძლებთ ლაუნჯში შესვლას მხოლოდ მობილური აპლიკაციის საშუალებით თქვენი საწევროს QR კოდის წარდგენით.

შემიძლია დავრეგისტრირდე ერთზე მეტი ბარათით აპლიკაციაში?
დიახ, შეგიძლიათ დაამატოთ რამდენიმე შესაბამისი ბარათი თქვენს Visa Airport Companion ანგარიშზე. წევრობის გვერდზე აირჩიეთ „ახალი წევრობის დამატება“ და შეიყვანეთ თქვენი დამატებითი ბარათის დეტალების. დადასტურების შემდეგ, შეიქმნება თქვენი ახალი საწევრო, რომელიც ამ ბარათთან იქნება დაკავშირებული. საწევროებს შორის მარტივად გადართვა შეგიძლიათ „გადართვის“ ფუნქციით წევრობის გვერდზე.

შემიძლია ლაუნჯში შესვლა, თუ არ მაქვს Wi-Fi ან ინტერნეტი?
დიახ, შეგიძლიათ ჩართოთ ოფლაინ წვდომა თქვენი მოწყობილობის საშუალებით. ასევე ეს ფუნქცია შეგიძლიათ ჩართოთ აპლიკაციის "ანგარიშის" განყოფილებაში "უსაფრთხოების" ნაწილში.

მიჭირს აპლიკაციაში დარეგისტრირება ან ჩემს ანგარიშზე შესვლა.
თუ გაქვთ დარეგისტირების პრობლემა, დაუკავშირდით მომხმარებელთა დახმარების ცენტრს რეგისტრაციის გვერდზე Help სექციაში მოცემული საკონტაქტო ბმულის საშუალებით. თუ გაქვთ აპლიკაციაში ანგარიშზე შესვლის პრობლემა, ისარგებლეთ Forgot Password ფუნქციით. თუ კვლავ ვერ შეძლებთ შესვლას, უნდა დაუკავშირდეთ მომხმარებელთა დახმარების ცენტრს login-ის გვერდზე Help სექციაში მოცემული საკონტაქტო ბმულის საშუალებით.

რა პერიოდზე ხდება უფასო ვიზიტების ათვლა?
უფასო ვიზიტი კლიენტს ეკუთვნის კალენდარული წლის მიხედვით, შესაბამისად უაქტიურდება 1 იანვარს და ვადა აქვს 31 დეკემბრის ჩათვლით. თუ ამ პერიოდში არ მოახდინა ვიზიტების ათვისება, დარჩენილი ვიზიტები უქმდება და 1 იანვრიდან იწყება ახალი ათვლა.

რა შემთხვევაში შეიძლება ჩამომეჭრას ლაუნჯში ვიზიტის შემდეგ საკომისიო?
იმ შემთხვევაში თუ ამოწურული გაქვთ უფასო ვიზიტების რაოდენობა ან ლაუნჯში ვიზიტისას გახლავთ თანმხლები პირი.

რამდენი ხნით შემიძლია ვისარგებლო ლაუნჯის მომსახურებით?
ყველა ლაუნჯს აქვს ინდივიდუალური მომსახურების პირობები, თუმცა უმეტეს შემთხვევებში ერთჯერადი მომსახურეობის პერიოდი 3-4 საათს არ აღემატება.